დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები - 18.03.2025 - 25.04.2025

დასკვნისწარდგენის თარიღი - 12.06.2025

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერისტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაგდა მემანიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერისტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Journalism and Mass Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	მე- 6
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; 27.06.2019, #139
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

შპს კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამამ - ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 26 ივნისს, (გადაწყვეტილება #139). 2024 წლის 2 დეკემბერს უსდ-მ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა პროგრამის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე გადაყვანის შესახებ თვითშეფასება და შესაბამისი დოკუმენტაციის პაკეტი.

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის შემდეგ პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში) შეიცვალა და გახდა - ჟურნალისტიკის ბაკალავრი. კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს (ISCED – F – 2013)-ის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია მოქცეულია "ჟურნალისტიკისა და რეპორტიორობის " დეტალური სფეროს ქოლგის ქვეშ.

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის პროცესში შეიცვლა საგანამანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, არ შეცვლილა პროგრამის მიზნები და სტრუქტურა.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად გაიზარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „240 ECTS კრედიტიდან პროგრამაში გათვალისწინებულია:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 156 ECTS კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სავალდებულო კომპონენტი: 50 ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 40 ECTS კრედიტი).
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი: 34 ECTS (44 ECTS კრედიტიმათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან,).
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტი: მაქსიმუმ 20 ECTS, რომელიც სტუდენტს შეუძლია მიიღოს ან კავკასიის უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მობილობის დროს აღიარების პროცესით.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ვადაა 4 აკადემიური წელი". პროგრამის სტრუქტურა საბაკალავრო ნაშრომს არ ითვალისწინებს, პროგრამის შემაჯამაბელი დატვირთვა აქვს 15 კრედიტიან მოდულ "მედიალაბს", რომელსაც სტუდენტები გადიან მე-4 კურსის მე-2 სემესტრში.

პროგრამაში ჩართულია 11 აკადემიური და 31 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალიდან აფილირებულია -10. დარგთან შესაბამისობაში მყოფი აკადემიური პერონალის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

უმრავლესობა შერჩეულია პროფესიული ნიშნით. დარგთან შესაბამისობაში მყოფი პერსონლიდან დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს 3-ს.

პროგრამას ჰყავს 5 პროფესორი, მათ შორის 4 უსდ-სთან აფილირებული. 5 პროფესორიდან ერთი დარგობრივი მიმრთულების პროფესორია და ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელიც. არაფილირებული პროფესორი არის სამართლის დარგში დოქტორი (გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტი) და პროგრამაში ასწავლის მედიასამართლისა და გამოხატვის თავისუფლების საგნებს.

6 ასოცირებული პროფესორიდან ყველა უსდ-სთან აფილირებულია, აქედან დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალია -4. 6 ასოცირებული პროფესორიდან დოქტორის ხარისხი აქვს ორს (დარგობრივი მიმართულებით - 1-ს).

31 მოწვეული ლექტორიდან უმრავლესობა (16) ძირითადი სწავლის სფეროს საგნებს გადასცემს. მოწვეულ ლექტორთაგან დოქტორის აკადემიური ხარისხი (არა - დარგობრივი მიმართულებით) აქვს - 4-ს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ოპტიმალურია, დაახლოებით ⅓.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კვალიფიკაციის ახალ ჩარჩოზე გადაყვანის მიზნით მომზადებული თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა 2025 წლის 29 მარტს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ანგარიშის პროექტის ვადის გადავადება 25 აპრილამდე ითხოვა. ექსპერტებმა პროგრამის შესწავლასა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ იმუშავეს პროგრამის შეფასებაზე. მუშაობა მიმდიანრეობდა მარტშიც და უფრო ინტენსიურად 21-25 აპრილს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეფასდა, როგორც სტანდარტებთან სრულად შესაბამისი, ვინაიდან მისი მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა, აგრეთვე - ორგანიზების და ათვისების მექანიზმი, ისევე როგორც სასწავლო კურსების შინაარსი და მეთოდოლოგია შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს.

გარდა ამისა, პროგრამა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური თვალსაზრისით უზრუნველყოფილია. როგორც მთლიანად უსდ-ს, ისე - კონკრეტულად ახალ ჩარჩოზე გადასულ პროგრამას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა, მათ შორის მედიის სტუდია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი უმაღლესი განათლების მედიაპროგრამა საგანმანათლებლო პროგრამების ქართულ ბაზარზე.

- **რეკომენდაციები**

წარმოებისას რეკომენდაციები არ გაცემულა, ვინაიდან პროგრამა შეფასდა, როგორც სამივე (პირველ, მე-2 და მე-4) სტანდარტთან „სრულად შესაბამისი“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შეფასებისას გაიცა სამი რჩევა.

პირველი და მეორე რჩევა ეხებოდა მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებსა და სილაბუსებში გაწერილ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კერძოდ, არც პროგრამაში და არც სილაბუსებში სწავლის შედეგები არ არის დაჯგუფებული - ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის მიხედვით. ექსპერტებმა სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული ზმნების მიხედვით ამოიცნეს, რომელი სწავლის შედეგი რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. მართალია სტანდარტის მიხედვით არ არსებობს მოთხოვნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ესა თუ ის სწავლის შედეგი რომელ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას და სილაბუსს სტუდენტები/აბიტურიენტები, ანუ განათლების სფეროს არაექსპერტი აუდიტორიაც ეცნობა, მომგებიანი იქნება, რომ პროგრამასა და სილაბუსებში ჩანდეს სწავლის რომელი შედეგია უნარი, რომელი - ცოდნა და რომელი - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა.

კიდევ ერთი რჩევა სტუდენტთა შეფასების ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაფორმულირდა. კერძოდ, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ კარგი იქნებოდა, თუკი შეფასების გასაჩივრების მექანიზმი უფრო ხელმისაწვდომი გახდება სტუდენტებისათვის.

- სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს რომელი სწავლის შედეგი შეესაბამება ცოდნას, რომელი - უნარსა და რომელი - პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას.
- სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს, რომელი სწვლის შედეგია -ცოდნა, რომელი - უნარი და რომელი - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა.
- სასურველია, შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის, მათ შორის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა თუ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

–

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

უსდ-ს გადაეგზავნა ექსპერტთა დასკვნის პროექტი. 29 მაისს კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის კახა შენგელიას მიერ მოწერილ წერილში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან შენიშვნა არ აქვთ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას - ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია - 5 მიზანი აქვს. აღსანიშნია, რომ ხუთივე მიზანი ჩამოყალიბდა 2019 წელს პროგრამის აკრედიტაციისას, კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოზე გადასვლის პროცესში პროგრამის მიზნები არ შეცვლილა. კერძოდ, საგანმანათლებლო "პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა:

მიზანი N1: იცოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტური ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არსი; იცოდეს მედიის გავლენების, მისი სხვადასხვა კონტექსტის მნიშვნელობა და ამ კონტექსტში საკუთარი, როგორც მედიის პროფესიონალი წარმომადგენლის როლი;

მიზანი N2: შეძლოს მსჯელობა, ანალიზი და მოსაზრებების ჩამოყალიბება; მოსმენა და დისკუსია; გამოიმუშავოს ვერბალური, აუდიო-ვიზუალური, წერილობითი პრეზენტაციის, ქართულ და ინგლისურ ენებზე მაღალი დონის კომუნიკაციის უნარები;

მიზანი N3: იმუშაოს სრულფასოვანი პროფესიული სტანდარტითა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვით;

მიზანი N4: შეძლოს სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის მედიასაშუალებებისთვის მუშაობა; გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია; მიიღოს კომპლექსური ცოდნა და უნარები სამაუწყებლო, ონლაინ, ბეჭდურ მედიაში - ფოტო, აუდიო, ვიდეო, ციფრულ ფორმატებში სხვადასხვა

პოზიციაზე სამუშაოდ (ახალი ამბების რეპორტიორი ნებისმიერ მედიასაშუალებაში, ვიდეოჟურნალისტი, ციფრული მედიის ჟურნალისტი, მრავალფეროვანი შინაარსისა და ფორმის ციფრული მედიაპროექტების პროდიუსერი და ა.შ.);

მიზანი N5: შეძლოს მედიის მომიჯნავე სფეროებში (საზოგადოებასთან ურთიერთობები, მარკეტინგული კომუნიკაციები) და მედიის კვლევით პროექტებზე მუშაობა."

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მიზნების ფორმულირებისას გათვალისწინებულია სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის თავისებურებები. ხუთივე მიზანში ჩამს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პირველივე მიზანი ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნებში ასახულია მედიის სფეროს შრომითი ბაზრის მოთხოვნილებები - ეს შეფასება ყველაზე დიდწილად მე-4 და მე-5 მიზანს ეხება.

პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან - "კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მორალური ღირებულებების მატარებელი და დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება."

დაბოლოს, საგნამანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზნების საჯარო და ხელმისაწვდომია, ვინაიდან პროგრამის კატალოგი განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ს მისია;
- ვებგვერდზე გამოქვეყნებული პროგრამის კატალოგი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	●	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოზე გადასვლის პროცესში საგანამანათლებლო საბაკალავრო პროგრამა _ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის - სწავლის შედეგები მოდიფიცირდა, თუმცა არ შეცვლილა სწავლის შედეგების რაოდენობა და განახლებულ პროგრამას, ისევე როგორც ძველი ჩარჩოზე მყოფ პროგრამას, სწავლის რვა შედეგი აქვს.

პროგრამის კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოზე გადაყვანის პროცესში სწავლის შედეგები რეფორმულირდა ახალი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად აწმყო დროში აქტიური ფორმის ზმნებით.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ცოდნას, უნარებს, აგრეთვე პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას. თუმცა პროგრამაში არ არის დაჯგუფებული ამ სამი პრინციპით. ექსპერტთა აზრით სწავლის რვა შედეგიდან შედეგი #1 და #2 შეესაბამება - ცოდნას, შედეგი #3, #4, #5, #7 და #8 - უნარს, ხოლო სწავლის შედეგი #6 - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას. სასურველია, რომ სამომავლოდ პროგრამის სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს რომელი სწავლის შედეგი შეესაბამება ცოდნას, რომელი - უნარსა და რომელი - პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას.

სწავლის რვავე შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მე-6 საფეხურთან, აგრეთვე - დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სწავლის შედეგებიდან ცხადი ხდება, რომ პროგრამა ამზადებს როგორც სხვადასხვა ტრადიციულ, თუ არატრადიციულ მედიაპლატფორმაზე მორგებულ ჟურნალისტებს, ისე - ფართე გაგებით კომუნიკაციის სპეციალისტებს, ე.წ. კონტენტ-კრეატორებს, რომლებსაც შეუძლიათ მონათესავე სფეროებში, განსაკუთრებით კი საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, დასაქმება.

მიუხედავად პრაქტიკულ პროფესიულ უნარებზე მნიშვნელოვანი აქცენტისა, პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სწავლის მომდევნო დონეზე გადასვლისათვის აუცილებელი უნარები. კერძოდ, სწავლის შედეგი #2-ის თანახმად, კურსდამთავრებული "საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, აიდენტიფიცირებს და გადმოსცემს მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა არხის გავლენებს; აღწერს და ხსნის ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას; პრაქტიკული საქმიანობისას ის ოპერირებს დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ხელშესაწყობად; პასუხისმგებლობის მაღალი დონით"; ხოლო სწავლის შედეგი #7-ის თანახმად, კურსდამთავრებული "საბაზისო დონეზე იკვლევს მედიის საკითხებს: გამართულად სვამს საკვლევ შეკითხვას, ირჩევს კვლევის რელევანტურ მეთოდს, ამუშავებს შესაბამის მასალებს, საზღვრავს და აორგანიზებს კვლევის დიზაინს, წერილობით აყალიბებს და აანალიზებს მიგნებებს, აკეთებს დასკვნებს - აკადემიური წერის სტანდარტების, მისი ეთიკური პრინციპებისა და კეთილსინდისიერების დაცვით". სწავლის მე-3 შედეგის მიხედვით, კურსდამთავრებული "წერილობით და ვერბალურად მიმოიხილავს, ინტერპრეტირებს, აანალიზებს, აჯამებს ეპოქების, ისტორიული კონტექსტების, ფილოსოფიური ნააზრევების, ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების შინაარსს, ამ პროცესში ისმენს განსხვავებულ აზრს და დემონსტრირებს, როგორც პრეზენტაციისა არგუმენტირებული დისკუსიის, ასევე, დასკვნის გამოტანის უნარებს; ავლენს კომპეტენციას სოციოლოგიაში, ეკონომიკაში; ქართულ და ინგლისურ ენებზე პრეზენტირებს საკუთარ ნამუშევრებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით".

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ახალ ჩარჩოზე გადასული საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რაც პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს რომელი სწავლის შედეგი შეესაბამება ცოდნას, რომელი - უნარსა და რომელი - პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	●	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც

პირდაპირ, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს და გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ათვისების დონეზე დაკვირვებას, პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას და შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარებას. კერძოდ, მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

პროგრამის სწავლის შედეგებისა და კომპონენტების კავშირი, მათი მიღწევის დონის მითითებით წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამაში (სწავლის შედეგების რუკა არის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი). თითოეული სწავლის შედეგი სამ დონეზე ღრმავდება. სწავლის შედეგისა და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ურთიერთმიმართება აღნიშნულია დონეებით - დაბალი, საშუალო, მაღალი. ამავე რუკაზე მითითებულია შეფასების ინსტრუმენტები.

რუკა, ისევე როგორც პროგრამისთვის შემუშავებული მეთოდოლოგია დეტალიზებული და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისია. რუკაზე დაფუძნებით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში წარმოდგენილია თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაში მონაწილე კომპონენტები, ინდიკატორების შეფასების რუბრიკა, განსაზღვრულია სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, პერიოდულობა, შემფასებელი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს და შეესაბამება როგორც სფეროს სპეციფიკას, ასეე უმაღლესი განათლების დონეს.

რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით.

ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით), რაც ინტეგრირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზში.

შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში გათვალისწინებულია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით, წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები 2019-2020 სასწავლო წლიდან 2022-2023 სასწავლო წლის ჩათვლით, შედეგების ანალიზი მოიცავს როგორც პირდაპირი, ასეე არაპირდაპირი შეფასების შედეგებს, მათში, მეთოდოლოგიის შესაბამისად, ინტეგრირებულია გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედეგების დადარება და საჭიროების შემთხვევაში, რეაგირება. ასევე, დასტურდება შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

რაც შეეხება სტანდარტის კომპონენტის ისეთ შეფასების კრიტერიუმებს, რომელთა შეფასებისთვის საჭიროა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრება, წარმოების სახიდან გამომდინარე, მათი შეფასება ვერ განხორციელდა, კერძოდ: რამდენად იცნობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიასა და მექანიზმებს, რა ტიპის მხარდაჭერას იღებენ ისინი მათი უნარებისა და ცოდნის განვითარებისთვის სწავლის შედეგების შეფასებისთვის და როგორ ხდება შეფასების შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	●	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს. სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია საქართველო კანონმდებლობით დადგენილი წესი და ECTS - კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველჰყოფს მის ინდივიდუალურობას. კვალიფიკაციათა ახალ ჩარჩოზე გადასვლის პროცესში პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა.

პროგრამის სტრუქტურა

1. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები	156 ECTS
2. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები /მოდულები	50 ECTS / ან 40 ECTS- მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან. 34 ECTS / ან - 44 ECTS კრედიტი მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან

3. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები	თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებში შედის პროფესიული პრაქტიკის 10 ECTS-იც (საველე პრაქტიკა 1 და საველე პრაქტიკა 2)

პროგრამის სტრუქტურა საბაკალავრო ნაშრომს არ ითვალისწინებს, პროგრამის შემაჯამებელი დატვირთვა აქვს 15 კრედიტიან მოდულ "მედიალაბს", რომელსაც სტუდენტები გადიან მე-4 კურსის მე-2 სემესტრში. პროგრამაში არსებული აღწერილობის თანახმად, მედიალაბში "შედის 3 მიმართულება (სასწავლო კურსი): პოლიტიკის გაშუქება, კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება, მედია მენეჯმენტი და ახალი ამბების პროდიუსინგი. ამ კურსის მიზანია ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამაზე სწავლის 7 სემესტრის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა გაუძლიეროს, განამტკიცებინოს და გაუღრმავოს. ეს არის პროგრამაზე სწავლის ბოლო სემესტრზე გაწერილი შემაჯამებელი სასწავლო კურსი, რომლის ფინალურ ნაწილშიც სტუდენტები ინტენსიურად, რეალურ ნიუსრუმთან მაქსიმალურად დაახლოებული მოდელების მიხედვით, იმუშავებენ მედიაპროდუქტის შექმნაზე. კურსის ბოლოს გათვალისწინებულია დასკვნითი პროექტის მომზადება და მისი საჯარო დემონსტრირება. საგანს უძღვება რამდენიმე ლექტორი". ძირითადი სწავლის სფეროს მოდული "მედიალაბი-ს" სილაბუსის შესწავლით ადასტურებს, რომ მისი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, მეტიც, აღნიშნული მოდული აჯამებს და განამტკიცებს სტუდენტების მიერ 7 სემესტრის განმავლობაში შეძენილ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურის თანახმად, "კავკასიის მედიის სკოლა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, პროგრამის დასრულებისათვის საჭირო 240 ECTS კრედიტიდან 20 დააგროვოს თავისუფალი, 10 კი - ალტერნატიული კრედიტების (საველე პრაქტიკის) გზით. ამისთვის სტუდენტს შეუძლია:

- ❖ არჩევითი საგნების ნაცვლად გაიაროს მისთვის საინტერესო საგნები კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სკოლებში, ან პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, წინარეკვიზიტის დაცვით – მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი;
- ❖ არჩევით სასწავლო კურსად გაიაროს საველე პრაქტიკა მისთვის საინტერესო ორგანიზაციაში - მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი.

საველე პრაქტიკა სტუდენტს შეუძლია გაიაროს 2-ჯერ, III და IV საფეხურებზე, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე ზაფხულის განმავლობაში. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში პრაქტიკის გავლა შესაძლებელია 2-ჯერ – სწავლების მესამე და მეოთხე საფეხურებზე. სტუდენტს ასევე, აქვს შესაძლებლობა საველე პრაქტიკის ფარგლებში სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულად, პროფესიული პროფილით იმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისთვის, ან კავკასიის მედიის სკოლის სხვადასხვა სტუდენტური პლატფორმის, პრაქტიკული და კვლევითი პროექტისთვის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზემოაღწერილი პროცედურა."

შესწავლის შემდეგ ექსპერტებისათვის ცხადი გახდა, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა თანმიმდევრულია და აგებულია გაცნობა/განმტკიცება/გაღრმავების პრინციპით. საგნები ლოგიკურადაა განთავსებული რვავე სემესტრში, ხოლო პრერეკვიზიტები სათანადოდაა განსაზღვრული, რაც სწავლის შედეგების საფეხურებრივად მიღწევის წინაპირობაა. ამდენად, ახალ ჩარჩოზე გადასული საბაკალავრო პროგრამის - ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები - შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია კვალიფიკაციასთან და უზრუნველჰყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანამანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	●	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია 32 სავალდებულო და 15 არჩევითი საგნის სილაბუსი, გარდა ამისა ზოგადი და პროფესიული ინგლისური ენის 6 სილაბუსი.

სილაბუსების გაცნობის შემდეგ ექსპერეტებმა დაასკვნეს, რომ ძირითადი სწავლის სფროს სასწავლო კურსების სილაბუსები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველჰყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას. სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის ახალი ჩარჩოს მოთხოვნებს, კერძოდ, დალაგებულია ცოდნის, უნარისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის მიხედვით, ფორმულირებულია აქტიური ზმნებით და ლოგიკურ თანხვედრაშია სასწავლო კურსის მიზანთან. თუმცა, როგორც მთლიანად პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გასწვრივ არ არის მითითებული რომელი სწავლის შედეგი შეესაბამება - ცოდნას, რომელი - უნარს და რომელი - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას. ექსპერტების აზრით, სასურველი იქნება, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს, რომელი სწვლის შედეგია -ცოდნა, რომელი - უნარი და რომელი - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა.

სილაბუსების შინაარსი - როგორც სალექციო თემატიკა, ისე სააუდიტორიო და დამოუკიდებელი სამუშაოების სპეციფიკა - შეესაბამება სასწავლო კურსის დასახელებას,

მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების უმრავლესობა 5 კრედიტიანია, თუმცა გვხვდება რამდენიმე 4 და 6 კრედიტიანი საგანიც. თითოეული სსწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების ოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსში ასათვისებელი მასალის ოდენობას. თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის ოპტიმალურია და ასახავს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში შეფასების ნაწილში ჩანს, რომ ფასდება სასწავლო კურსის ყველა სწავლის შედეგი. შეფასების რუბრიკაში ჩაშლილი კრიტერიუმების აღწერა მკაფიოა, შეფასების რანჟირება ყველა სილაბუსში მცირეა (მაქსიმუმ 3 ქულის სხვაობა შეფასების ერთ კრიტერიუმზე).

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის მიზნებს, სწავლის შედეგებს და უზრუნველჰყოფს საგნის სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა თემის გასწვრივ მითითებულია სავალდებული ლიტერატურის გვერდები, ყოველკვირეულად დასამუშავებელი გვერდების რაოდენობა ოპტიმალურია და სტუდენტს შეუძლია მასალის მითითებული ოდენობის ათვისება.

ვინაიდან ჟურნალისტიკასა და მასმედიის სფეროში ქართულენოვანი სასწავლო რესურსები დეფიციტურია და არცთუ ხშირი ინტენსივობით ახლდება, მედიაში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების სასწავლებლად ზოგიერთ სილაბუსში გამოყენებულია მედიისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და ანალიტიკური ორგანიზაციების უახლესი კვლევები, რაც მისასალმებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებითა და სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალებით/რესურსებით;
- კურიკულუმის რუკა

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგების გასწვრივ მიეთითოს, რომელი სწვლის შედეგია -ცოდნა, რომელი - უნარი და რომელი - პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	●	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	●
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი

ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს, ის საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე განსაზღვრული გამოცდების ჩამონათვალი (ამ დროისთვის, სავარაუდო - ქართული ენა, უცხოური ენა სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია/ისტორია/ლიტერატურა/მათემატიკა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - მიღება https://cu.edu.ge/how-to-apply2/cu-apply-undregraduate ;
- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გამოცდების ეროვნული ცენტრი - ვებგვერდი https://naec.ge/#/ge/post/3281 .

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	●	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან პროგრამა ამზადებს ჟურნალისტებსა და მასობრივი კომუნიკაციის მომიჯნავე სფეროს კადრებს (ე.წ. კონტენტ-კრეატორებს), მასში მძლავრადაა წარმოდგენილი პრაქტიკური უნარების განვითარებაზე კონცენტრირებული საგნები. ასეთი საგნებია, მაგალითად, ფოტოჟურნალისტიკა, ვიდეოპროდაქშენი, ვიდეოჟურნალისტიკა, რადიოგადაცემების მომზადება, ბეჭდური მედია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები და ტაქტიკა, სატელევიზიო გადაცემების მომზადება, მარკეტინგული კომუნიკაციები და სხვა. საგნებში, რომელიც პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, საშინაო დავალებები და სააუდიტორიო აქტივობები პრაქტიკური ხასიათისაა, ასევე პრაქტიკული ხასიათისაა (მაგალითად, ვიდეოსიუჟეტის მომხადება, ანდა - აუდიო მასალის მომზადება, ან ტექსტური და ფოტო მასალის მომზადება) შუალედური და დასკვნითი გამოცდებიც.

მთელი რიგი საგნების გარდა, თავისუფალი კომპონენტის არჩევით ნაწილში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს პროფესიული საველე პრაქტიკა 1 და 2 (მაქსიმუმ 10 ECTS). პროგრამის აღწერილობის თანახმად, სტუდენტს შეუძლია " არჩევით სასწავლო კურსად გაიაროს საველე პრაქტიკა მისთვის საინტერესო ორგანიზაციაში - მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი. საველე პრაქტიკა სტუდენტს შეუძლია გაიაროს 2-ჯერ, III და IV საფეხურებზე, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე ზაფხულის განმავლობაში. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში პრაქტიკის გავლა შესაძლებელია 2-ჯერ – სწავლების მესამე და მეოთხე საფეხურებზე. სტუდენტს ასევე, აქვს შესაძლებლობა საველე პრაქტიკის ფარგელბში სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულად, პროფესიული პროფილით იმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისთვის, ან კავკასიის მედიის სკოლის სხვადასხვა სტუდენტური პლატფორმის, პრაქტიკული და კვლევითი პროექტისთვის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზემოაღწერილი პროცედურა. " საველე პრაქტიკა 1 და 2-ის

სილაბუსები ადასტურებენ, რომ ამ საგნის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს მოუწევს მთლიანად პრაქტიკული საქმიანობის შესრულება.

დაბოლოს უსდ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკაალვრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ მედიაორგანიზაციებთან:

- ტვ „ფორმულა“
- ტვ "პირველი"
- „რადიო თავისუფლება“
- "პალიტრა TV"
- რადიო "პალიტრა" (შპს "ნიუსრუმი")
- სააგენტო "ინტერპრესნიუსი" (შპს "ახალი ამბები")
- ნეტგაზეთი
- გაზეთი "კვირის პალიტრა"
- გაზეთი "ბათუმელები"

შესაბამისად, პროგრამას საკუთარი სივრცის გარდა მოქმედ მედიასაშუალებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გარდა აქვს რესურსი, რომ სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება რეალურ მედიაგარემოში მიაღებინოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სავალდებულო საგნების სილაბუსები;
- საველე პრაქტიკა 1 და საველე პრაქტიკა2 -ის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	●	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით. სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილი სწავლის მეთოდები შეესაბამება საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს როგორც ინდივიდუალურ სასწავლო კურსზე, ისე - პროგრამის სწავლის შედეგების დონეზე.

